საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.

დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს, კანონით გათვალისწინებულ ვადაში, გაასაჩივროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება.

მხარის მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 181-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების წესს ადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავი. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისათვის არ შეიძლება დაწესდეს სახელმწიფო ბაჟი ან რაიმე გადასახადი.

ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის ვადა:

- ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.
- ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება უნდა გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი დაინტერესებული მხარისათვის ცნობილი გახდა ამ მოქმედებათა განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადგენს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის საფუძვლებს. ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ:

- არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება იმავე დავის საგანზე მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის, ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;
- სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;
- არსებობს ამ ორგანოს ან ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება იმავე საკითხზე;
- ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება იმავე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით;
- საჩივარი შეიტანა ქმედუუნარო პირმა;
- ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ;
- გასულია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადა